პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 31 ოქტომბერი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

946 (248) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. ნ. სტრ

## წითელ არმიელო, ემზადე 1905 წლ. რევოლიუციის დღესასწაულისათვის.

ახლოვდება 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავი. საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩვენი წითელი-არმია აქედანვე უნდა შეუდგეს მზადებას ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის დღის აღსანიშნავად.

1905 წლის რევოლიუციამ უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის მუშათა კლასის გამარჯვების საქმეში. ის იყო მუშების და გლეხების რევოლიუციონური აჯანყების პირველი ცდა თვითმპყრობელობის დასამხობად.

თუმცა 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ მან მიუთითა გზა მუშებსა და გლეხებს გამარჯვებისაკენ.

მშრომელთა კლასმა ისარგებლა ამ პირველი რევოლიუციის გამოცდილებით, გაითვალისწინა ყველა მისი მიღწევები და შეცდომები და კიდეც მიაღწია ოქტომბრის გამარჯვებას.

1905 წლის რევოლიუციამ ნათლად დაანახა მუშათა კლასს და გლეხობას, რომ გამარჯვებას ისინი მიაღწევენ მხოლოდ მაშინ თუ მჭიდრო და მტკიცე კავშირი ექნებათ ერთმანეთში და მათი ხელმძღვანელი იქნება ისეთი შეურყეველი რევოლიუციონური პარტია, როგორიც არის კომუნისტური პარტია.

სწორედ იმიტომ რომ ეს კავშირი სუსტი იყო, მასთან სუსტი იყო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაც—დამარცხდა პირველი—1905 წ. რევოლიუცია. მაგრამ როგორც ზევით ვსთქვით ამ დამარცხებამ მოიტანა ბრწყინვალე გამარჯვებაც ოქტომბრის სახით.

თითეული წითელ არმიელი მოვალეა კარგად იცოდეს 1905 წლის რევოლიუციის ისტორია. მან კარგად უნდა შეისწავლოს რუსეთის პირველი რევოლიუციის ყველა მიღწევები და მისი დამარცხების მიზეზები.

ყოველივე ამის შესწავლას ის აქედანვე უნდა შეუდგეს, რომ სავსებით შეიგნოს 1905 წლის ოცი წლის თავის შესრულების მთელი მნიშვნელობა და შეგნებულად მიიღოს ამ დღესასწაულში მონაწილეობა. წითელ არმიელებმა აგრეთვე თავისი ცოდნა ამ დარგში ფართედ უნდა გაუზიარონ გლეხობას პირადი საუბარში თუ თავის წერილებში სახლში. აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ საერთო მოსამზადებელ მუშაობაში, რომელსაც ჩაატარებს მთელი ნაწილი დღესასწაულის საზეიმო შესახვედრათ.

წითელ არმიელო! შეისწავლე 1905 წლის რევოლიუციის ისტორია. ემზადე რუსეთის პირველი რევოლიუციის დღესასწაულისათვის.

## ბრძოლა ქალაქ დამასკის გარშემო.

### ფრანგები მოითხოვენ დამასკის მცხოვრებთაგან იარაღის ჩაბარებას.

საფრანგეთის ჯარები ჯებელ-დრუზიდან მიემართებიან დამასკის მიდამოებში საბრძოლველად. დამასკში ჩავიდა ფრანგების 3.000-ანი რაზმი. სიკვდილით დასჯილია 8 აჯანყებული, მათ რიცხვში ცნობილ არაბთა ბელადის ხარატის ძმა.

— ფრანგები მოითხოვენ დამასკის მოსახლეობიდან 3.000 თოფს. ჯერ-ჯერობით ჩაბარებულია 800 თოფი. ფრანგები ემუქრებიან გაქცეულ აჯანყებულებს, რომ, თუ ისინი 24 საათში არ დაბრუნდებიან, მათ ჩამოერთმევათ ქონება.

— მუსულმანთა ბელადები სირიაში აცხადებენ, რომ დამასკზე ყუმბარების დაშვნა შევა ისტორიაში, როგორც „ახალი ომის პირველი ბრძოლა“.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისელ კომუნისტების საქმე.

საიდუმლო პოლიციის აგენტმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ 21 ივლისს ლონდონში გამართულ დემონსტრაციაზე განნინგტონმა განაცხადა: „მართალი გითხრათ მე წითელი ვარ და ვცდილობ გამოვიწვიო მღელვარება უმუშევართა შორის.

მე ვნახე მოსკოვში წითელი დროშები, რომლებიც ფრიალებდენ სასახლეებზე, რომლებშიაც წინად მეფეები სცხოვრობდენ“.

არმიისადმი მოწოდების საკითხის განხილვის დროს, ყოფილ მუშათა მთავრობის იუსტიციის მინისტრმა სლესერმა განაცხადა, რომ კომუნისტები არ მოუწოდებდენ განსაზღვრულ მოქმედებისაკენ, არამედ ხაზს უსვამდენ, რომ ომი არა სასურველიაო.

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### უ-პეი-ფუს თავის მართლება და მისი მუქარა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მარშალ უ-პეი-ფუმ დააგზავნა ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ მას არ უნდოდა კონფერენციის მუშაობის დროს განეახლებია სამხედრო მოქმედება, მაგრამ ხალხის ინტერესების გულისთვის იძულებულია მიმართოს ამ ზომას.

— უ პეი-ფუმ განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს ბოლშევიკების არსებობას ჩინეთში.

## ლიუტერი გერმანიის აღმოსავლეთ პოლიტიკის და ლოკარნოს ხელშეკრულებათა შესახებ.

გერმანიის რეიხსკანცლერმა ლიუტერმა გერმანიის აღმოსავლეთ პოლიტიკის შესახებ განაცხადა: „გერმანიას არ სურს და არც შეუძლია ომის წარმოება აღმოსავლეთში, მით უფრო მას არ შეუძლია დასდოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მშვიდობიანობის უზრუნველყოფა დაკავშირებულ იყოს მის აღმოსავლეთ საზღვრების ხელშეუხებლობასთან.“

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ ლიუტერმა განაცხადა:

„გერმანია არ დაუშვებს გავლენა მოახდინოს ვინმემ საბჭოთა კავშირთან მის დამოკიდებულებაზე. ამის დამამტკიცებელია სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან“.

— ლოკარნოს კონფერენციის შესახებ ლიუტერმა განაცხადა, რომ გერმანია უნდა შევიდეს ევროპის შემადგენლობაში, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი. დასასრულ მან განაცხადა, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარს რათა ცხოვრებაში გატარებულ იქნას ლოკარნოს ხელშეკრულება გერმანიის ხალხის მიერ.

## მოძრაობა მონარქიის წინააღმდეგ სპარსეთში.

გილიანისა და აზერბეიჯანის ნაციონალისტებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიც მოითხოვენ ძველი მეფის გვარეულობის ჩამოგდებას და სასტიკი ზომების მიღებას შახის (მეფის) დაბრუნების წინააღმდეგ. 23 ოქტომბერს აზერბეიჯანის ნაციონალისტებმა გამოუშვეს სამი მოწოდება, რომელშიაც უწოდებენ მეჯლისის დეპუტატებს ქვეყნის მოღალატეებს. თავრიზში სდგება მოხალისეთა რაზმები, რომლებიც უნდა დაიძრენ თეირანზე.

## რაკოვსკისა და კრასინის დანიშვნა.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში რაკოვსკი გადაყვანილია საფრანგეთში სრულუფლებიან წარმომადგენლად, პარიზში მყოფი სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრასინი სრულუფლებიან წარმომადგენლად ინგლისში.

## საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

პენლევე—მინისტრ—პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტრი, ბრიანი—საგარეო საქმეთა მინისტრი, შოტანი—იუსტიციის, შრამეკი—შინაგან საქმეთა, დე-მონზი—საზოგადოებრივ სამუშაოთა, დალადიე—სამხედრო, ბორელი—საზღვაო, შომე—ვაჭრობის, დიურანი—მიწადმოქმედების, დელბოსი-სახალხო განათლების, მორელი—კოლონიების, დიურაფური—შრომის, ანტერიუ—სოციალურ უზრუნველყოფის.

# საბჭოთა კავშირში

## ქალთა დაწინაურება კოოპერაციის საქმეში.

რკპ-ს ცეკას მუშა ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილებამ დაუგზავნა ადგილობრივ განყოფილებებს წერილი, რომ მომავალ არჩევნები (გამგეობათა, სარევიზიო კომისიების და სხვა) გამოიყენონ როგორც კამპანია ქალთა დაწინაურებისა კოოპერაციის საქმეში.

## კოოპერაციაზე გადასახადის გადიდების წინააღმდეგ.

საკავშირო შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წარუდგინა სახალხო კომისართა საბჭოს განცხადება, რომელშიაც ის გამოსთქვამს აზრს ფინანსთა კომისარიატის მიერ გათვალისწინებულ კოოპერაციაზე გადასახადის გადიდების წინააღმდეგ. შინა ვაჭრობის კომისარიატის ანგარიშით ეს გამოიწვევს ფასების აწევას კერძო ვაჭრობაში.

## ახალი ხურდა ფულის გამოშვება.

ფულის გამომშვებ განყოფილებამ დაუკვეთა ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცს“ („წითელი ვიბორგელი“) ალიუმინისა და სპილენძის რამოდენიმე შენადულის დამზადება ახალი ხურდა ფულის დასამზადებლად. ეხლა სწარმოებს ამ შენადულთა შესწავლა და მათი მასიური დამუშავება მათი ვარგისობის გამოსარკვევად.

# ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წლის თავისათვის.

გაუმარჯოს ოქტომბრის მერვე წლის თავს! მტრებით გარშემორტყმული 8 წლის განმავლობაში სდგას მსოფლიო რევოლიუციის საძირკველი—პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო. გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას!

ლენინის ხელმძღვანელობით რკპ წარუძღვა მუშებსა და გლეხებს ოქტომბრის ბრძოლებში. რკპ-ს ხელმძღვანელობით მუშები და გლეხები მიდიან მტკიცე ნაბიჯით სოციალიზმისაკენ.

პროლეტარიატის მტკიცე კავშირი სოფლის ღარიბ მოსახლეობასა და საშუალო შეძლების გლეხობასთან საბჭოთა ხელისუფლების საფუძველია.

პროლეტარიატის შეთანხმება ღარიბებს და საშუალო ქონების გლეხობასთან,—აი მუშურ-გლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის შეურყეველი პოლიტიკა.

კაპიტალიზმის საერთაშორისო მტაცებლები შეშინებული არიან ჩვენი ზრდით. ისინი ახალ ხრიკებს იგონებენ ჩვენს წინააღმდეგ. მუშავ და გლეხო, გახსოვდეთ საფრთხე!

წინააღმდეგ ყაჩაღურ ერთა ლიგისა, წინააღმდეგ საგარანტიო ულტისა, წინააღმდეგ ახალი ომებისა—გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მუშათა ერთსულოვნობას! გაუმარჯოს მათ მსოფლიო კავშირს—კომინტერნს!

ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშები ამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს. ყველა ქვეყნის პროლეტარები სოციალ-გამცემელთა სურვილის წინააღმდეგ აგზავნიან საბჭოთა კავშირში თავიანთ დელეგაციებს. გაუმარჯოს მუშათა ერთიან ფრონტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

კაპიტალის ჯალათნო! მუშების სიკვდილით დასჯისა და გლეხების წამებისთვის თქვენ მიიზღავთ სამაგიეროს, როცა საიერიშოდ გამოვლენ ქუჩაში პროლეტარიატის რიგები.

ძმური სალამი აღმოსავლეთის მშრომელთა მილიონებს—იმპერიალისტურ მონობასთან ბრძოლისთვის ამხედრებულთ!

**რ. კ. პ. ცეკას მდივანი: მოლოტოვი.**

---

ორშაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა:

1\. კომუნალური (წითელი თეატრი).

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ**

ა. მოხსენება ქალ. სასაკლაოს შესახებ.
ბ. მიმდინარე საკითხები.

2\. საფინანსო (აღმასკომი, ოთახი № 203).

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ**

ა) გადასახადთა ქ. განყ. მოქმედების ანგარიში გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
ბ. მიმდინარე საკითხები.

3\. განათლების (აღმასკომი, ოთახი № 333)

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ**

ა) „საბჭოთა შრომის სკოლა“.
ბ) მიმდინარე საკითხები.

4\. ჯანმრთელობის (აღმასკომი, ოთახი № 256).

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ**

ა) ჯანმრთ. განყოფილების სანიტ.—განმანათლებელი ქ. განყ. 1926 წ. მუშაობის გეგმის დამტკიცება.
ბ) მოხსენება ქ. ტფილისში პურის გამოცხობისა და პურის საცხობების შესახებ.
გ) მიმდინარე საკითხები.

5\. სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის (აღმასკ. ოთახი № 208).

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ**

ა) მოხსენება აგრო-დახმარების შესახებ მაზრაში.
ბ) მომავალი საბჭოების არჩევნების შესახებ.
გ) მიმდინარე საკითხები.

6\. სამხედრო (აღმასკომი, დარბაზი № 234)

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ.**

ა) მოხსენება სექციის სამუშაო გეგმის შესახებ 1925 წ. ნოემბრის და ოქტომბრის თვეებში.
ბ) სექციის ბიუროს არჩევნები.
გ. მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

**ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი არ. რუხაძე.**

---

## კომკავშირი და საბჭოთა ხელახალი არჩევნები

საბჭოთა ხელახალ არჩევნებთან დაკავშირებით კომკავშირის ცეკამ მიმართა კომკავშირის—ორგანიზაციებს სპეციალურ წერილით დაეხმარონ პარტიას ღარიბთა და საშუალო შეძლებულთა ორგანიზაციაში არჩევნებზე შეერთებულად გამოსვლისთვის. წერილში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი პარტიისა და კომკავშირის უჯრედებს შორის.

## ნორვეგიელ მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო ტფილისში.



მადსენი.
დელეგაციის თავმჯდომარე.

## ცენტრალური საკოოპერაციო საბჭო საგლეხო სესხის შესახებ.

ცენტრალურ საკოოპერაციო საბჭო კოოპერაციულ ორგანიზაციებისადმი წერილში აღნიშნავს, რომ მეორე საგლეხო სესხს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კავშირის სამეურნეო ცხოვრებისათვის, ისე ქვეყნის გლეხთა მოსახლეობისათვის. ამიტომ საბჭო მოუწოდებს ყველა სახის ორგანიზაციებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სესხის განაღდებაში.

## აზერბეიჯანის პროფკავშირთა გაერთიანებული კონფერენცია.

29 ოქტომბერს გაიმართა აზერბეიჯანის პროფკავშირთა გაერთიანებული კონფერენცია ნორვეგიისა და ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციასთან ერთად, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ივანოვმა მისალმების სიტყვაში მოუწოდა დელეგაციას იბრძოლონ მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისთვის.

დელეგატებმა განაცხადეს, რომ, ისინი დარწმუნდენ დასავლეთ-ევროპის გაზეთების სიცრუეში საბჭოთა კავშირის შესახებ.

დელეგატმა ბრაუდმა განაცხადა:

„თქვენმა პროლეტარიატმა გვიჩვენა გზა, რომლითაც უნდა წავიდეს მსოფლიო პროლეტარიატი“.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

### ᲒᲣᲨᲐᲒᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ.

მშვიდობიან დროს საგარნიზონო სამსახური მეომრის შემოწმებაა: აქ გამოჩნდება თუ რამდენად დისციპლინიანია ესა თუ ის წითელ-არმიელი ან ესა თუ ის სამხედრო ნაწილი, თუ რამდენად მომზადებული და გაეცნობილია სამხედრო სამსახურის იმ საალი გაგებით, რაც აუცილებელია წითელ-არმიაში. საგარნიზონო სამსახურის თუნდაც თვით მცირედი მოთხოვნილების შეუსრულებლობაც კი აყენებს რაიმე ზიანს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, და ამიტომაც ის წარმოადგენს დანაშაულს, რომლის გამოც დამნაშავე სათანადოდ უნდა დაისაჯოს. მეომარი თავისი დაუდევარი მოპყრობით სამხედრო სამსახურის ასრულებისადმი სცემს თავისი ნაწილის ღირსებას და თვით ბოროტმოქმედი ხდება.

დღეს ჩვენს წითელ არმიაში საგარნიზონო სამსახურს ასრულებენ მეომრები, რომლებმაც იმსახურეს არმიაში 2 წელი, ამიტომ დაუშვებელია თავის მართლება იმაში, რომ მე არ ვიცოდი როგორ უნდა მოვქცეულიყავი განწესებაში ყოფნის დროს და სხვა. მეომარმა უნდა იცოდეს ყველაფერი ზედპირა და, რასაკვირველია, არ უნდა დაუშვას ის, რაც საგარნიზონო სამსახურის წესდებით აკრძალულია როგორც საზიანო და დაუშვებელი.

მაგრამ ხანდახან ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა გუშაგი ვერ იქცევა საგუშაგოზე ისე, როგორც ამას წესდება მოითხოვს. ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი ამხანაგი წითელ-არმიელები სახლში წასვლის მოლოდინში ცოტათი გულაგდებით ეკიდებიან სამსახურს.

ამას წინად გაზეთებში ეწერა, რომ გუშაგი სადარაჯოზე სტვენდა და სტვენდა ისე კარგად, რომ ბევრი გამვლელი დაინტერესა. რასაკვირველია, ეს კარგია, რომ მას ასეთი სტვენა სცოდნია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მას გადავიწყებია საგარნიზონო წესდების 123 მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „გუშაგი სადარაჯოზედ უნდა იდგეს სრულიად მხნედ და ყურადღებით. არაფრით არ უნდა გაერთოს და შეუსუსტებლად და განუწყვეტლივ ადევნოს თვალყური საგუშაგოს და არავითარ შემთხვევაში არ გაუშვას ხელიდან თავისი დასაცავი საშუალება—იარაღი და ვაზნები. რისთვისაც მას ეკრძალება: დაჯდომა, ძილი, ჭამა, თუთუნის წევა, სმა, სიმღერა, ლაპარაკი კერძო პირებთან, რაიმეს მიღება, თუნდაც დროებით შესანახად, იმ პირებისაგან, რომელთაც არ აქვთ უფლება განკარგულება მას მისცენ, დაიკმაყოფილოს საგუშაგოზე ბუნებრივი მოთხოვნილება და, საერთოდ,—ყველაფერი ის, რასაც შეუძლია, თუნდაც სულ მცირედ დროითაც, შეასუსტოს მისი ყურადღება მასზე ჩაბარებულ საგუშაგოსადმი“.

საგარნიზონო დროებითი წესდების აქ მოყვანილ მუხლში აშკარად მოსჩანს, რომ დაუშვებელია საგუშაგოზე გალობა ისე, როგორც დაუშვებელია ბევრი სხვა რამ.

მგონია ნათლადაა ნაჩვენები წესდებაში თუ რა ეკრძალება გუშაგს საგუშაგოზე და ამიტომ სახლში წასავლელად გამზადებულმა ძველმა მსახურებმა ყველაფერი ეს უნდა გაიმეორონ და არ უნდა დაარღვიონ წესდების წესები.

**ი. ბარ.**

---

## ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ.

(წერილი პირველი)

**მეფის მთავრობა დაეცა. ძალა უფლება კაპიტალისტების ხელში გადავიდა.**

ძირმომპალი მეფის თვითმპყრობელობა ომითა და სიღარიბით სასოწარკვეთილებამდი მისულ მშრომელთა ტალღამ სულ რამოდენიმე დღეში აყირავა.

ძალა-უფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა, რომელიც შედგენილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს წევრების—მსხვილ მემამულეების, კაპიტალისტებისა და ფაბრიკანტებისაგან.

დროებითი მთავრობის შემადგენლობა (კადეტები—მილიუკოვი, გუჩკოვი, როძიანკო, ტერეშჩენკო და სხვები) დამამტკიცებელი იყო იმის, რომ ხალხის მიერ მოპოებული თავისუფლება და რევოლიუცია მისი კლასობრივი მტრების ხელში იყო. მუშათა კლასმა ფხიზლად დაუწყო თვალყურის დევნება მთავრობისა და კაპიტალისტების პოლიტიკას. მუშათა კლასის სიფხიზლემ კოვზი ჩაუგდო ნაცარში კადეტებს, რომელთაც სურდათ რუსეთში თვითმპყრობელობის აღდგენა მიხეილ რომანოვის გამეფებით.

რევოლიუციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად მუშათა კლასმა დაიწყო მთელ ქვეყანაში თავისი ორგანიზაციების—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების მოწყობა. პირველად შექმნილ იქნა პეტერბურგის საბჭო.

საბჭომ იმთავითვე გაითვალისწინა, რომ რევოლიუციის გამარჯვების უზრუნველყოფა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რომ შესწყდება ძმათა სისხლის მღვრელი იმპერიალისტური ომი. საბჭომ დაუყონებლივ მიმართა მოწოდებით ევროპის ხალხებს და მოუწოდებდა დაეწყოთ ბრძოლა ზავისთვის.

**ბურჟუაზიას არ სურს ზავი.—ის განაგრძობს ომის წარმოებას.**

იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა კვნესოდა ომის ქვეშ და ელოდა ზავს, დროებითი მთავრობა, ესერებისა და მენშევიკების დახმარებით, აყენებს ლოზუნგს: „ომი გამარჯვებამდი“.

ამრიგად ხალხის სურვილის წინააღმდეგ, კაპიტალისტებმა განაგრძეს ომი, რომელიც იწვევდა მილიონობით მუშებსა და გლეხებს.

რევოლიუცია საფრთხეში იყო. კაპიტალისტებს სურდათ რკინის მუხრუჭში ჩაეგდოთ რევოლიუციონური ხალხი და სცდილობდენ განემტკიცებიათ თავიანთი ხელისუფლება.

**მოვა და ლენინი.**

საჭირო იყო გამოაშკარავება კაპიტალისტურ და მემამულეთა მთავრობის მთელი გამცემლობისა.

საჭირო იყო ძალა-უფლება ხელთ ეგდოთ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც შეეძლოთ მხოლოდ მშვიდობიანობა მიეცათ ქვეყნისთვის და გაედევნათ კაპიტალისტები და მემამულეები.

და ლენინიც მოვიდა პეტერბურგში სწორედ იმ დროს, როცა მუშები და გლეხები სტიქიურად ეძებდენ გზებს, რათა მიეღწიათ ზავისთვის და ჩამოეგდოთ ბურჟუაზიული მთავრობა. ბოლშევიკების პარტიას ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია მტკიცე პროგრამა და ვერ შესძლო თავის გარშემო ფართე მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა მასების შემოკრება.

ლენინის მოსვლით ყველაფერი შეიცვალა. პეტერბურგის საბჭოს მისალმებაზე და სურვილზე, რომ ლენინი შესულიყო დროებითი მთავრობის შემადგენლობაში, ილიჩმა წამოისროლა ლოზუნგი: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!“

ეს ლოზუნგი ნიშნავდა იმას, რომ ლენინი შეურიგებელი მტერი იყო დროებითი მთავრობის, რომ მუშებსა და გლეხებს უნდა აეღოთ ძალა-უფლება თავიანთ ხელში.

გარკვეულად დასმულ კითხვაზე: „რა უნდა ვქნათ?“—ლენინი მოუწოდებდა შეურიგებელ ბრძოლისაკენ, რათა მთელი ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადასულიყო.

ხოლო 4 აპრილს ბოლშევიკების პარტიამ უკვე მიიღო ლენინის ცნობილი თეზისები (დებულებები), რომლებშიაც ნათქვამი იყო რომ ბოლშევიკები უცხადებენ რევოლიუციონურ ბრძოლას იმპერიალისტურ სისხლის ღვრასა და კაპიტალისტებს, მოითხოვენ მთელი სახელმწიფო ძალა-უფლების საბჭოებზე გადაცემას, მოითხოვენ მემამულეებზე მიწების ჩამორთმევასა და მათ გადაცემას გლეხობაზე, მოითხოვენ საჩქარო ზავს უანექსიოთა და უკონტრიბუციოდ.

პარტიამ და მუშათა კლასმა იმ თავითვე იგრძნეს, რომ რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მშრომელთა ჭეშმარიტი ბელადი.

**დერევენსკი.**

„კრ. გ.“

# სამხკორო, მოიწერე გაწვევის შესახებ.

## ვემზადებით ახალწვეულების შესახვედრად.

1-ლი ლეგიონი.

წითელ არმიელების გრძელვადიან შვებულებაში გაშვების შემდეგ, ლეგიონის მთელი შემადგენლობის ყურადღება მიქცეული იქნა ახალწვეულების შეხვედრის სამზადისისაკენ. მთელი უფ პოლიტშემადგენლობა დიდი ენთუზიაზმით ჩაება ამ მუშაობაში. პოლიტხელები მთელი დღეები ჩაბმული არიან მუშაობაში. მწყობრის უფროსებიც ამზადებენ შესაფერ იარაღებს. სასპორტო იარაღები ლეგიონში ყველა წესრიგშია მოსული. დამზადებულია ტურნიკი, სავარჯიშო კიბეები და გადასახტომები.

წითელ არმიელებიც დიდი ინტერესით მოელიან ახალწვეულებს, რომლებთანაც მათ მოუხდებათ მუშაობა და რკინისებური დისციპლინით ოქტომბრის რევოლუციით მონაპოვარის დაცვისათვის შესაფერად მომზადება.

გაუმარჯოს მათ მოსვლას ჩვენს რიგებში და წითელ ყაზარმაში მათ მუშაობას.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ორ-კვირეული მეცადინეობა დამთავრდა.

მე 4 ლეგიონი.

მე-4 ლეგიონში ამას წინად გაიხსნა ორ კვირეული ქიმიური კურსები. კურსებისათვის ლეგიონიდან არჩეული იქნა ათი წერა-კითხვის კარგად მცოდნე წითელი არმიელები და უნცროსი მეთაურები. მეცადინეობა მიმდინარეობდა სისტემატიურად 15 დღეს, რვა საათი დღეში. ამ მოკლე ხნის განმავლობაში, როგორც უნცროს მეთაურებმა, ისე წ.-არმიელებმა ცოდნა შეითვისეს. ლეგთავმა გამოცდების დროს უაღრესი მადლობა გამოუცხადა როგორც წ.-არმიელებს ისე ქიმიურ ბრძოლის გამგეს. კურსებმა იმდენად დააინტერესა არმიელები, რომ ქიმბრძოლის გამგე ლეგთავთან შეთანხმებით კიდევ აწყობს ასეთ კურსებს, კურსებზე დიდი ყურადღება ექცეოდა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიურ საშვალებებს მეურნეობაში, ეს კი ყველას აინტერესებს.

წ.-არმ. ევ. ჯულაყიძე.

## მოგვეცით კედლის გაზეთი.

მე-4 ლეგ. მე-2 ათასეული.

აგერ ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი ათასეული დაუბრუნდა თავის წერტს და ჯერ კიდევ არ სწარმოებს მასში შესაფერი კულტურული მუშაობა. ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული საქმე.

განსაკუთრებით უყურადღებოდ არის მიტოვებული კედლის გაზეთის გამოცემისათვის მუშაობა. ეს გარემოება ძლიერ სწყინთ წითელ არმიელებს და ხშირად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას. საჭიროა ათასეულის ხელმძღვანელებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და დაგვეხმარონ კედლის გაზეთის გამოცემაში. იმედია მალე გამოსწორდება ეს დანაკლისიც.

წ. არმ. კოჯორისპირელი.

## რად არ ექცევა ყურადღება?

ქ. ქუთაისში არის რკინის გზის 1-ლი დამცველი რაზმი, რომლის უფროსად ითვლება მოქ. წივწივაძე, რომელიც ნაკლები ყურადღებით ეკიდება სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ წ. არმიელებს. ამ უკანასკნელად მას ბევრი თავისუფალი ადგილები ჰქონდა, მართალია ზოგიერთი წითელ არმიელები მიიღო სამსახურში, მაგრამ ზოგიერთებს უარი უთხრა იმ დროს, როდესაც ვაკანსიები კიდევ იყო და 50-მდე ახალი მოსამსახურე კიდევ მიიღო რაზმში.

წითელ არმიელები კი ჩანიშნა პირველ კანდიდატთა სიაში და არც საბუთებს უბრუნებს უკან. ეს პირველი კანდიდატი არმიელები ეხლაც იმავე მდგომარეობაში არიან და ვინ იცის სანამ დარჩებიან ასე.

წითელ არმიელები გულდაწყვეტილი დაბრუნდენ, როდესაც ნახეს, რომ მათ მაგიერ კერძო და არც ისე საიმედო ელემენტები მიიღეს რაზმში. ვინ მიაქცევს ყურადღებას ასეთ უსამართლობას.

ფისტო.

## ცვალებადთა შორის მუშაობა

4-ხე ლეგიონის 3-მე ასეული.

ასეულის ხელმძღვანელებმა მისვლისთანავე თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანეს ცვალებადლებზედაც რაც გამოიხატება შემდეგში: ჩამოყალიბებულ იქნა კომუჯრედი, რომელშიაც შედიან ცვალებადი პარტ-ამხანაგები.

სამი ვერსის რადიუსზე, ტერ-რწმუნებულებთან კავშირი საუცხოვოა, ისინი ხშირათ მოდიან ყაზარმაში და ღებულობენ დირექტივებს პოლიტ-ხელისაგან. როგორც სჩანს ოქმებიდან საერთო შეკრების დამთავრების შემდეგ ასეულის რაიონში ტერ-რწმუნებულების საშუალებით ჩატარებულა 9 მოხსენება.

განზრახულია ამ მოკლე ხანში ასეულის რაიონის მასშტაბით მოეწყოს სამხედრო კუთხე, რომელშიდაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ცვალებადლები, სამწუხაროდ არა გვაქვს ტეხნიკური მასალები.

საჭიროა ლეგიონის კლუბმა და ბიბლიოთეკამ საჭირო დახმარება გაუწიოს და არ შენელდეს ის ენტუზიაზმი, რომელიც გამეფებულია ასეულის შემადგენლობაში ამ მუშაობის ჩასატარებლად.

ტერ-კორები ხშირად აგზავნიან წერილებს კედლის გაზეთისათვის.

სამხკორი სან-მანი.

## სადარაჯოზე.

მტკიცე ნებით ურყევ რწმენით,  
ანთებული ვდგევარ ფრონტზე,  
სიყრმის სისხლის წითელ წვეთებს  
არ დავზოგავ მშრომელ ძმისთვის.  
და ყოველი რომ ზანზარებს  
ჩემი ქვეყნის წითელ ფონზე,  
სასიკვდილო ზარი არის:  
მშრომელების ცბიერ მტრისთვის...  
დეე გული რწმენით რომ ძგერს,  
გაიგმიროს ბრძოლის ველზე,  
დე სიცოცხლე შეეწიროს  
არ მწადია გადარჩენა,  
თუ კი დროშა იფრიალებს  
მშრომელ ქვეყნის ეიფელზე*)  
და თუ მტარვალთ ძველ ბუნაგებს  
სიკვდილს უძლევნით განაჩენათ...  
არ დავინდობ მტერს მშრომელთა  
სისხლი რომ სურს, როგორც ყორანს,  
არ დაუშვებ რომ ტირანმა  
მუშის რწმენა გადათელოს,  
ვფიცავ სიყრმეს აღტკინებულს  
გამარჯვების რწმენით მსრბოლავს!  
ვფიცავ მშობელს,—ამღზრდელ კერას,  
ვფიცავ წითელ საქართველოს!..

მ ლდართრ.

*) ეიფელი უმწვერვალესი კოშკია პარიზში.

## ვემზადებით ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად.

6-ე ლეგიონი.

ლეგიონის პარტორგანიზაციის გაერთიანებულმა კრებამ აირჩია სპეციალური კომისია 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა წინასწარი მუშაობის წარმოება დიდი ოქტომბრის რევოლუციის—8 წლის თავისა და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის 7 წლის თავის დღესასწაულის ღირსეულად ჩასატარებლად.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე შეიმუშავა საჭირო გეგმა.

განაწილებულ იქნა მოვალეობები კომისიის წევრებ შორის, რომლებიც თავთავიანთ დავალებების მიხედვით შეუდგნენ მუშაობას. შეძენილი იქნა საჭირო მასალები. ბირთვებში და წრეებში დავიწყეთ ზემოხსენებულ საკითხების გაშუქება. ლენკუთხეებისათვის მზადდება ლოზუნგები და პლაკატები.

6 ნოემბერს გაიმართება კომბინიური საღამო, რომელშიდაც მთელი აქტივი მიიღებს მონაწილეობას.

ლეგიონს დღემდე არ ჰქონდა შესაფერისი კლუბი, რაც არ გვაძლევდა საშვალებას გამოგვეჩინა შესაფერი ინიციატივა. ამ ჟამად ეს ნაკლი აცილებულია თავიდან.

საწრეო მუშაობისათვის გვაქვს 10 ოთახი, მხოლოთ საჭიროა მათი შეკეთება. იმედია ლეგიონის მესვეურები მიაქცევენ ამას ჯეროვან ყურადღებას და კლუბი შეკეთებული იქნება ოქტომბრის დღესასწაულამდე. მზადდება კლუბისათვის დეკორაციები. წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ აქვთ. ყველა იმის ცდაშია რაიმე გააკეთოს. განზრახულია აღნიშნულ დღეობისათვის გამოიშვას ჟურნალი „პროლეტარული კოცონი"-ს სახელწოდებით და ლეგიონის კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

სამხკორი ე—ლი.

# პარტიული ცხოვრება

## მეთაურთა გაერთიანებული სამხედრო სკოლა.

სკოლაში პარტიული მუშაობის ყველა მხარეები სავსებით ჩამოყალიბებულია. სკოლის მთელი კოლექტივი დაყოფილია სამ უჯრედათ. თითეულ მათგანს წევრების ასი პროცენტი ყავს ჩაბმული აქტიურ მუშაობაში. თითეულ პარტიულ ამხანაგს 2-3 დავალება აქვს მიცემული. არ არის არც ერთი თვითმოქმედი ორგანიზაციები ჩვენს სკოლაში, რომ მის გაჯანსაღების საქმეში ჩვენი პარტიის წევრები არ იყვენ მთავარი ხელმძღვანელები.

### პარტ-განათლება.

სკოლის პარტიის ორგანიზაცია გაყოფილია ორ ჯგუფათ: ორივე ჯგუფებს ყავთ შესაფერი ხელმძღვანელები და სწარმოებს მეცადინეობა უმაღლეს ორგანოს მიერ გამოცემული სათანადო პროგრამით. ამ მხრივ კარგი მიღწევები გვაქვს უჯრედებში.

### პარტიის ხელმძღვანელობა ა. ლ. კ. კავშირზე.

სკოლაში არსებობს ოთხი ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელშიდაც ირიცხება 284 წევრი. სწორედ პარტუჯრედების ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს, რომ ასე მრავალრიცხოვანია ეს ორგანიზაცია და მისი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი. პარტიის ბიურო-კოლექტივმა პირველ რიგში დასვა საკითხად კომკავშირზედ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა, რაც წარმატებით იქნა შესრულებული.

ვ. ბერიძე.

## როგორ მუშაობენ სოფლად ჩვენი რწმუნებულები.

მე-2-რე არტლეგიონი.

ტერ-შეკრების მიმდინარეობის პერიოდში ლეგიონში გამოყოფილ იქნა რწმუნებულები სოფლად და ქალაქად, რომელთაც მიეცა სათანადო დარიგება მათი მოვალეობის და მუშაობის შესახებ, რასაც უსაროგებლოთ არ ჩაუვლია. ამას მოწმობს ის მასალები, რომლებიც ჩვენ მოგვდის რწმუნებულებისაგან.

აი რას გვწერს ერთი მათგანი სოფელ ბაილეთიდან (გურია) ამხ. ოლიფანტე მეხუზლა: „ჯეროვანი ჯეროვნით ლენინის კუთხე მოვაწყვეთ კომპარტიის და კომკავშირის დახმარებით".

აქ უკვე ნათლად სჩანს რწმუნებულის აქტიობა საგანმანათლებლო საკითხში კომპარტიასა და კომკავშირთან დაახლოებით, რომელიც აუცილებელია სოფლად კულტურულ მუშაობის საწარმოებლად. ჩვენ კიდევ ვეტყვით მათ; ლენინის კუთხეში სამხედრო განყოფილების მოწყობა არის მთავარი ამოცანა ჩვენი რწმუნებულებისა.

სამხედრო კუთხის ირგვლივ რწმუნებულებმა უნდა შეაკავშიროს წ. არმიელთა მასა თავისი თემისა იმ მიზნით, რათა ამ განყოფილებამ მისცეს გლეხობას და გლეხურ ახალგაზრდობას სამხედრო აღზრდა და დაუახლოვოს წით. არმიის ტერიტორიალმშენებლობას.

„იმედი გვაქვს, რომ მომავალში უფრო კარგათ, ღირსეულათ შევასრულებთ საბჭოთა ხელისუფლების და თქვენ დავალებებს"-ო იწერება კოხნარის თემიდან ჩვენი რწმუნებული ამხ. პაღულარია.

და მართლაც ყოველივე რწმუნებული უნდა სცდილობდეს, რომ თავის მუშაობის დროს შეხვედრილი დაბრკოლებანი შეისწავლოს, რათა ის გახდეს მისთვის გაკვეთილათ მომავალ მუშაობის წარმოებაში. მაშინ მხოლოდ ჩვენო რწმუნებულებო შესძლებთ თქვენი მოვალეობის პირნათლად შესრულებას იმ ხელისუფლების წინაშე, რომელიც გამომხატველია მშრომელთა მასის კოლექტიური ნებისყოფის.

„თქვენ მიერ დავალებებს, როდესაც შევასრულებთ მაშინ მოვალთ თქვენთან ნაწილში და გამოგეცხადებით სათანადო საბუთებით"-ო იწერება საჯამიასერის რაიონიდან ამხ. ვარლამ სხვიტარიძე.

აქ უკვე სავსებით გრძნობს პასუხისმგებლობას ჩვენი რწმუნებული და ეს ასეც უნდა იყოს. ყოველი რწმუნებული რომელიც ნაწილმა გამოჰყო და მისცა დარიგება, პასუხისმგებელია თავის მუშაობაში მშრომელთა ხელისუფლებისა და იმ სამხედრო მუშურ-გლეხურ ორგანიზაციისადმი, რომელმაც ის გაგზავნა რწმუნებულათ სოფლად და ქალაქათ.

მხურვალე სალამი რწმუნებულებს.

კ—ძე.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში, მეორე წერილის მესამე სვეტში ქვევიდან მე-13 სტრიქონში, გაგვეპარა შეცდომა. სწერია: „არჩეული იქმნა კომკავშირის პირველი ყრილობა“ უნდა იყოს: „არჩეული იქმნა კომკავშირის პირველი ცენტრალური კომიტეტი“.

იმავე ნომრის ფელეტონში, მესამე სვეტის მე-13 სტრიქონში, შეცდომით სწერია: „მსხვილი ბურჟუაზია“ უნდა იყოს „საშუალო ბურჟუაზია“

## ამბები სოფლებიდან.

**კინო გლეხებისათვის.** ჩოქის გლეხკომი შეუდგა ადგილობრივ კინოს მოწყობას.

**სამტრედიის** ალმასკომი შეუდგა, ადგილობრივ, წმ. გიორგის ეკლესიის მოედანზე სკოლის შენობის აგებას.

**ხიდი გელათში.** ქუთაისის ალმასკომმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საქ. სახკომსაბჭოს წინაშე გელათის რკინის ხიდის შესაკეთებლათ 15.730 მან. გადადების შესახებ.

**სასამართლოს სესიები სოფლათ.** ბაღდადის სახალხო სასამართლო სოფლებში აწყობს სასამართლოს სესიებს.

**ბაზრობა სოფლათ.** ქუთაისის ალმასკომმა დაადგინა მოაწყოს ბაზრობა სოფ. უხუთში პოკიანის აბანოსთან.

## ახალი ამბები.

— **ავიაქიმის ახალი ლაბორატორია.** საქ. ავიაქიმი ქუთაისში ხსნის ახალ ლაბორატორიას.

— **სალექციო ბიურო.** ტფ. პოლიტგანათლების განყოფილება აწყობს სალექციო ბიუროს მაზრაში სალექციო საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

— **სახელმწ. ღვინის ტრესტი** ტფილისში ხსნის კონიაკის სახდელ ახალ ქარხანას.

— **საბჭოთა აღმშენებლობა.** მიმდინარე წელში აფხაზეთში აშენებული იქნება ჰიდრო-ელსადგური, რომელსაც ექნება 1500 ცხენის ძალა.

— **გზატკეცილის გაყვანა.** მოკლე ხანში დამთავრდება გზატკეცილის გაყვანა ქუთაის წყალტუბოს შორის.

— **თუჯის დაკვეთა.** ჩათახის ქარხანამ სხვა და სხვა დაწესებულებიდან მიიღო დაკვეთა 400 ათას ფუთი თუჯის დამზადების შესახებ.

— **ჩვენი სიმინდი საზღვარგარეთ.** ცეკავშირმა გადასწყვიტა დაამზადოს ნახევარი მილიონი ფუთი სიმინდი საზღვარგარეთ გასატანათ.

— **ლობიოს გატანა სტამბოლში.** ცეკავშირი შეუდგა ლობიოს შესყიდვას სტამბოლში გასატანათ.

— **ხილის გასაღება.** წარმოკავშირმა მოსკოვში გასასაღებლათ გაგზავნა 12 ვაგონი ხილი.

— **შუშეულობის შემოტანა.** წელს საქართველოში შემოტანილი იქნება 230 ვაგონი შუშეულობა.

— **დასასვენებელ სახლებისთვის** გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში ტფ. დამზღ. სალარომ დახარჯა 19.017 მან.

— **კალოშების შეძენა.** ა. კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი წელს საქართველოს საჭიროებისათვის შემოიტანს 250 ათას წყვილ კალოშს.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვმსახურებ წ. ჯარში. სოფელში სხვის სახლში ვცხოვრობდი, რომელიც დაინგრა. მთელი ჩემი ოჯახი დარჩა გარეთ. ვის უნდა მივმართო ბინისთვის?

ჯოხაძე.

**პასუხი.** მიმართეთ ადგილობრივ აღმასკომს.

**კითხვა.** გამიწვიეს ცვალებად შემადგენლობაში ერთი თვით. თბილისის საზოგადო სამუშაოდან, სადაც ვმსახურებდი მომხსნეს და არც ორი მესამედი ჯამაგირისა არ მომცეს. რამდენად კანონიერია ადგილიდან მოხსნა და მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი?

ნუცუბიძე.

**პასუხი.** შეგიძლიათ საჩივარი აღძრათ შრომის სასამართლოში.

**კითხვა.** როდის განთავისუფლდებიან 1901 წ. დაბადებულნი წ. ა. გამოწვეულნი 1924 წ. შემოდგომაზე?

**პასუხი.** დათხოვილი იქნებით 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულებთან ერთად.

**კითხვა.** ივლისში მომიკვდა ბავშვი. მეკუთვნის თუ არა დასამარხი ფული?

ოცეულის მეთაური დ. ქ თამაძე.

**პასუხი.** თუ ზედმეტი მსახური ხართ გეკუთვნით'

**კითხვა.** გვერგება თუ არა ჯამაგირი ოქტომბრიდან ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროს მეთაურებს?

**პასუხი.** ჯამაგირი მოგეცემათ პირველ ნოემბრიდან. (ბრძანება კ. წ. დ. არმიის № 93).

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის 3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ ამხ. გრიგოლ დომენტის-ძე მოდებაძეს (შორაპნის მაზ. სოფ. სალიეთის მცხოვ. უპარტიო). თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამხანაგის პარტიაში მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სკოლის 3-მე კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.


## განცხადება

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი

აცხადებს, რომ დღეს, 31 ოქტომბერს მესამე რაიონის პარტკლუბში, საღამოს 6 საათზე შესდგება მე-3 რაიონის სამოქალაქო უჯრედების მდივანთა და სამხედრო კოლექტივების და უჯრედების მდივანთა თათბირი.



# საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

## მეორე საგლეხო მომგებიან სესხის გამოშვების და მასზე ხელის მოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოშვებული იქნება მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიანი სესხი ორი წლის ვადით 1925 წლის 1 ნოემბრიდან 1927 წლის 1 ნოემბრამდე.

## სესხის პირობები

სესხი გამოშვებული იქნება ათ სერიათ 10.000.000 მანეთის რაოდენობით თვითეული, ობლიგაციების ფასი იქნება 5, 10 და 50 მანეთი.

ობლიგაციები იძლევიან ყოველწლიურ შემოსავალს 12 პროც.-ის რაოდენობით, რომელიც განაღდებული იქნება ყოველთვიურად. კუპონით, თვითეული თვის პირველ რიცხვებში.

ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა 8 ტირაჟში, ყოველ სერიის თვითეული ტირაჟი გათამაშებული იქნება 3.281 მოგება 120.000 მან. რაოდენობით, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად,

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 5.000 | მანეთიანი |
| 5 | „ | 1.000 | „ |
| 25 | „ | 500 | „ |
| 50 | „ | 100 | „ |
| 700 | მოგება | 50 | მანეთიანი |
| 2.500 | „ | 25 | „ |

მოგებათა პირველი ტირაჟი მოხდება ა.-წ. 15 დეკემბერს.

მასში მონაწილეობას მიიღებს სესხის ორი სერია: გათამაშებული იქნება 6.568 მოგება 250.000 მანეთის რაოდენობით.

ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწოდების აღების დროს საწინდრის სახით და აგრეთვე ობლიგაციებით შეიძლება ვადაგასულ აქციზის და საბაჟო გადასახადების გასტუმრება.

ობლიგაციები და ყოველგვარი გარიგებანი ამ ობლიგაციებით თავისუფლდება ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

## ხელის მოწერა სესხზე

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი ა.-წ. 1 ნოემბრიდან უშვებს მე-2 სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის პირველ და მეორე სერიას, რომლის ნომინალური ჯამი უდრის 20.000.000 მანეთს.

შემდეგი სერიები გამოშვებული იქნება საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ არა უადრეს 1925 წ. დეკ. ბოლო რიცხვებისა.

1925 წ. 15 დეკემბერს მოხდება მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის მოგებათა ტირაჟი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პირველი ორი სერია.

ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებსა და შემნახველ კასებში.


ნ. ლ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.